

## გადაწყვეტილება

N გ-22-15/188  
21/04/2022

188-გ-22-1-4-202204211338



### შპს „ეკლექტიკისთვის“ საინფორმაციო-საცნობარო სამსახურისთვის განკუთვნილი ნუმერაციის რესურსის მინიჭების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით მიმართა შპს „ეკლექტიკმა“ (კომისიაში რეგისტრაციის №შ-22-7/1518, 15.04.2022) საინფორმაციო-საცნობარო სამსახურისთვის, 110XXX ფორმატის ნუმერაციის რესურსის მინიჭების თაობაზე.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის 48-ე მუხლის შესაბამისად, ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება გაიცემა კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

კომისიის 2012 წლის 21 თებერვლის №2 დადგენილებით დამტკიცებული „ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენების და ანგარიშსწორების წესების“ მე-5 მუხლის მეორე პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების მიწოდებულ ავტორიზებულ პირებს საინფორმაციო-საცნობარო სამსახურისთვის, უფასოდ ენიჭებათ კომისიის მიერ ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებების მომსახურების მიწოდებაზე- ავტორიზაციის ვადით.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებით დამტკიცებულ “საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების” №3 დანართის მე-5 პუნქტით ელექტრონული კომუნიკაციების საოპერატორო კომპანიების სპეციალური სამსახურების ნუმერაციაა:

სამსახურების დასახელება	მოკლე ნომრები
საავარიო და საინფორმაციო-საცნობარო სამსახური	110 X XX

სადაც XXX – საოპერატორო კომპანიების განმსაზღვრელია.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „ეკლექტიკი“ წარმოადგენს ავტორიზებულ პირს, რომელსაც ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

**B.M.1 მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება:**

ადგილობრივი და მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტებთან სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება;

მოძრავი საერთაშორისო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება;

როუმინგული კავშირით მომსახურება.

**B.M.2 მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების გაფართოებული მომსახურებით უზრუნველყოფა:**

- ტექსტური შეტყობინების მომსახურება;
- მულტიმედიური მომსახურება;
- ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება (GPRS და სხვ);
- მოძრავი ინტერნეტ მომსახურება;
- მოძრავი ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურება;
- სხვა მოძრავი საკომუნიკაციო მომსახურება.

კომისია აღნიშნავს, რომ მოთხოვნილი ნუმერაციის რესურსი შპს „ეკლექტიკს“ ესაჭიროება აბონენტების საინფორმაციო-საცნობარო მომსახურებისათვის. შესაბამისად, კომისიას მიაჩნია, რომ „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულებიდან“ გამომდინარე შპს „ეკლექტიკს“ უნდა მიენიჭოს ნუმერაციის რესურსი - 110 010 საკუთარი აბონენტებისთვის საავარიო და საინფორმაციო-საცნობარო მომსახურების მისაწოდებლად ავტორიზაციის მთელი პერიოდის მანძილზე.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების“ №3 დანართის მე-5 პუნქტის და კომისიის 2012 წლის 21 თებერვლის №2 დადგენილებით დამტკიცებული „ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენების და ანგარიშსწორების წესების“ მე-5 მუხლის მეორე პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

**გადაწყვიტა:**

1. მიენიჭოს შპს „ეკლექტიკს“ ნუმერაციის რესურსი - 1-1-0-0-1-0 (ერთი-ერთი-ნული-ნული-ერთი-ნული) შესაბამის ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებაზე ავტორიზაციის ვადით, საქართველოს ტერიტორიაზე, საკუთარი აბონენტებისთვის საავარიო და საინფორმაციო-საცნობარო მომსახურების მისაწოდებლად;
2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 21 აპრილიდან;
3. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების შპს „ეკლექტიკისთვის“ გაგზავნა (ნ. ჯავახიძე) და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე ([www.comcom.ge](http://www.comcom.ge)) გამოქვეყნება (ნ. შოვნაძე);
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) შპს „ეკლექტიკისთვის“ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი

